პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 22 (20368) — ხუთშაბათი, 26 იანვარი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲑᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

◆ კარგია, რომ შავშვებელი კომუნისტები ახლა კრებაზე გამოთქმულ შენიშვნებს არც ქარს ატანენ და არც სამუშაო მაგიდის უჯრებში გამოკეტავენ...

ᲒᲐᲡᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ

◆ რამდენიმე შენიშვნა და წინადადება „სსრ კავშირში საგამომგონებლო საქმიანობის შესახებ კანონის პროექტის გამო.

მე-2 გვ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

◆ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და რეგისტრაცია.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲦᲕᲐᲤᲚᲘ

◆ აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას დაბადების 70 წლისთავის გამო.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

◆ 26 იანვარი ინდოეთის ეროვნული დღესასწაული — რესპუბლიკის დღეა.

მე-3 გვ.

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

◆ მწერალი რევაზ ინანიშვილი მოგვითხრობს საგარეჯოს რაიონში ქარიშხლის შედეგებზე.

მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲓᲐᲜ, როგორც ცნობილია, საწარმოო დარგების უველა საწარმო გადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, გრძელდება სამეურნეო მექანიზმის დახვეწა. ხორციელდება წარმოების საშუალებების საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა, გარდაიქმნება დაგეგმვა, დაფინანსება და დაკრედიტება, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. მიუხედავად ამისა, ეკონომიკა, ჯერჯერობით, ახლებურად არ ამოქმედებულა. ადამიანებმა ჯერ კიდევ სრულად ვერ იგრძნეს მისი გარდაქმნის შედეგები. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ და აქ პარტიას აქვს ზუსტი სამოქმედო პროგრამა: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხზე შემოსავლის პირდაპირი დამოკიდებულების დამყარება.

როგორც ხედავთ, საარჩევნო პროგრამის შესრულებისათვის აუცილებელ ღონისძიებებიდან ერთ-ერთ უმთავრესად პარტია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ასახელებს. ყოველმხრივ წინსვლის მყარი საფუძველი შეიძლება შეექმნას მხოლოდ ეკონომიკაში ძირეული ცვლილებების საშუალებით. ეს ბეშმარიტებაა, მაგრამ სწორია ისიც, რომ ეს ცვლილებები ეფუძნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, სოლო ეს უკანასკნელი მანქანათმშენებლობის განვითარებას ეყრდნობა. ამის შესახებ გამოკვეთილად ითქვა ჯერ კიდევ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, ეს აზრი გასდევს წითელ ზოლად სკკპ XXVII ყრილობას, მის მომდევნო პლენუმებსა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს. ამაზეა გამახვილებული უურადღება პარტიისა და მთავრობის პოლოდროინდელ დადგენილებებში. მოსკოვის XXVII საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე, კერძოდ ითქვა, რომ მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის კაპიტალდაბანდება გაორკეცდა. ამის მიზანი კი ის არის, რომ გზა გაუხსნათ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში განხორციელდა გარკვეული ღონისძიებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საწარმოთა რეკონსტრუქციის, ახალი ტექნიკის ათვისებისა და დანერგვის, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის გამოშვების შემარბილებელ ეტაპად. თუმცა განსაკუთრებით თავმოსაწონი ჯერჯერობით არაფერი გვჰქვს. ამას მეტყველებს 1988 წლის შედეგებიც.

შარშან გრძელდებოდა წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა, ეფექტიანობის გადიდების ოპტიმალური ვარიანტების ძიება, ამ მხრივ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისათვის მუშაობა, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, დასამშვიდებელი ცოტა გვაქვს.

ᲡᲐᲗᲑᲝᲗᲐ-ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲨᲘ ვერ შესრულდა ქვანახშირის ამოღების დაკალება კომპლექსურად მექანიზებული სანგრევებდან. რაც შეეხება **ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ**, აქ რამდენადმე გაიზარდა თერმომექანიკური და ანტიკოროზიული დაფარვის მეთოდით დამუშავებული მილების გამოშვება. ასეთი მილების რაოდენობამ წარმოების მთლიან მოცულობაში 2,02 პროცენტი შეადგინა. ეს ალემატება ხუთწლედის მეორე წლის მაჩვენებელს, მაგრამ არ არის საკმარისი. უკეთესი მდგომარეობა იყო თერმული დამუშავების ტუმბო-საკომპრესორო მილების დამზადების მხრივაც. ამასთან, გაბარდა ფოლადის უწყვეტი მეთოდით ჩამოხმობის შეკვეთის შესრულება. უწყვეტი მეთოდით ჩამოსხმული ფოლადის ნილმა წარმოების მოცულობაში შარშან 8,39 პროცენტი შეადგინა და ეს შარშანწინ მიღწეულ დონეზე დაბალია.

ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲨᲘ გაიზარდა პროგრესული საბაზო ტექნოლოგიის გამოყენების მასშტაბები. პროგრესული სახეობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხვედრითმა წილმა წარმოების მოცულობაში 34 პროცენტი შეადგინა. თუმცაღა, ვერ უზრუნველყოფით რკინაბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციების მზის ენერგიის გამოყენებით დამზადებ.

როგორ არის საქმე **ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲨᲘ** — დარგში, რომელსაც ეურდნობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი? მისი 29 საწარმოდან და გაერთიანებიდან პროდუქცია შარშან გეგმით 17-ში უნდა განახლებულიყო, მაგრამ ხუთმა მათგანმა დაკალება ვერ შეასრულა და სახელმწიფოს 1.400 ათასი მანეთი დაკარგა. მსოფლიო ტექნიკური დონის შესაბამისმა პროდუქციის წილმა მანქანათსაშენებელი კომპლექსის წარმოების მოცულობაში 61,4 პროცენტი შეადგინა, რაც საგრძნობლად აღემატება გათვალისწინებულს. მსოფლიო ტექნიკური დონის შესაბამისი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმების შესრულებას უუოლად გამოსახულებაში ასიათასობით მანეთი დაკარგეს „საქელექტრომანქანის“, „ელმავალმშენებლის“, „ფილას“ საწარმოო გაერთიანებებმა, ბათუმის სატრანსფორმატორო ქარხანამ, თბილისის საინსტრუმენტო ქარხანამ.

2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შესაბამისად მანქანათსაშენებელი კომპლექსის პროდუქცია უნდა გაიზარდოს 4,8-ჯერ. ამ დარგის გამსწრები ტემპით განვითარება ნავარაუდევია, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის ეკონომიკის სპეციფიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული ჭედადარგების დაჩქარებული ზრდის გზით.

არათანაბრად განლაგებული შრომითი რესურსების ოპტიმალური დასაქმებისა და რესპუბლიკის ძლიერი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მანქანათსაშენებელი კომპლექსის ჭედადარგების: ელექტრული, ავტომობილ ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის უპირატეს ზრდას.

აღნიშნული ჭედადარგების საწარმოებს ჩვენი რესპუბლიკის პირობებისათვის მისაღებს ხდის მცირე მასალატევადობა და ენერგოტევადობა, შედარებით ნაკლები ხვედრითი კაპიტალური დაბანდებანი და მათი ანაზღაურების მცირე ვადები, ეკოლოგიური დაცვის დონე და სხვა. ეს მიმართულებანი ტექნოლოგიითა და ფუნქციური-დანიშნულებით მონათესავეა, აქვს ტექნიკური ბაზის განვითარებისა და მეცნიერული უზრუნველყოფის საერთო პრობლემები, შიდადარგობრივი კოოპერაციის გაფართოების შესაძლებლობა რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში.

რატომ წამოიწია წინა პლანზე ჩვენი რესპუბლიკის პირობებში მანქანათმშენებლობის განვითარების საკითხმა? საქმე ის არის, რომ რესპუბლიკისათვის ტრადიციული დარგების შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი მეტად შეზღუდულია. ამასთან, მომავალი საუკუნის პირველი ხუთწლეულის დამლევისათვის 1990 წლის წარმოების მოცულობის მიღწეული დონის შენარჩუნების პირობებში საჭირო იქნება 2,5-ჯერ ნაკლები შრომითი რესურსები. არასაწარმოო სფერო კი, მიუხედავად მისი განვითარების სწრაფი ტემპისა, გამოთავისუფლებული შრომითი რესურსების მეოთხედსაც ვერ დააკმაყოფილებს მთლიანად. ყოველივე ეს კი წარმოების შემდგომი განვითარების ახალ პროგრესულ მიმართულებათა გამონახვის გარდუვალ აუცილებლობას წარმოშობს. ჰოდა, ასეთ პირობებში, მეცნიერთა და სპეციალისტთა აზრით, ყველაზე მიზანშეწონილია გაგრძელდეს პრიორიტეტული განვითარება მანქანათმშენებლობის და, კერძოდ, მისი არალითონტევადი ქვედარგებისა, რომლებიც ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური შრომისა და მეცნიერების უახლოესი მიღწევების გამოყენებაზე.

მანქანათმშენებლობის განვითარება შესაძლებლობას მოგვცემს აგრეთვე მნიშვნელოვნად გავაფართოოთ სახალხო მოხმარების საქონლის, რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოება. მანქანათმშენებლობისა და მისი მეცნიერებატევადი დარგების უპირატესი განვითარება დაგვეხმარება დადგენილ ამოცანათა ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები, როგორიცაა შრომის ანაზღაურების დონით რესპუბლიკის ჩამორჩენის შემცირება, მთისა და მთისწინა რაიონებში, პატარა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცირე კონტიგენტებად დასახლებული ჭარბი შრომითი რესურსების დასაქმების უზრუნველყოფა. ასე რომ, მანქანათმშენებლობის პრიორიტეტულ განვითარებას ჩვენს პირობებში ძნელია ჰქონდეს ალტერნატივა.

როგორც ცნობილია, თხუთმეტწლიანი პროგრამის განხორციელება უნდა დაიწყოს მეცამეტე ხუთწლედის დამდეგიდან, მაგრამ მისი დროული შესრულების გარდუვალობას დღესვე ეყრება საფუძველი. ამას მოწმობს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის მასალები. რესპუბლიკის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმაში აღნიშნულია, რომ წლეულს მანქანათმშენებლობის პროდუქციის მოცულობა შარშანდელთან შედარებით გაიზრდება 9,9 პროცენტით, რაც მეტად სოლიდური ციფრია. კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდება წლეულს ხელსაწყოთმშენებლობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის წარმოების მოცულობა.

სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე წლეულს როგორც ცნობილია, ყველა საწარმო გადავიდა, თუმცა მანქანათსაშენებელი კომპლექსის საწარმოთა დიდი ნაწილი ახლებურად უკვე 1988 წლის დამდეგიდან მუშაობს. განვლილ პერიოდში მათმა გარკვეულმა ნაწილმა შეძლო მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. სამწუხარო ფაქტია, რომ მოგების გეგმა რესპუბლიკის მანქანათსაშენებელმა კომპლექსმა ვერ შეასრულა. ასეთი „საგაზალთი“ ხუთწლედის მეოთხე წელში გადასვლა არ არის ადვილი. მით უმეტეს, რომ წლეულს დარგმა მეტად რთული ამოცანები უნდა გადაწყვიტოს. მოგების გეგმის შესრულებას თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ, მაგალითად, დააკლო ასათასობით მანეთი. ჩვენ ვიცით, რომ ამ გაერთიანებაში საკმაოდ ბევრი კეთდება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მსოფლიო სტანდარტების დონის პროდუქციის შექმნისათვის და იმედია ეს ხელს შეუწყობს მისი ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებას.

ახლებური მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა და სწორედ ამ მხრივ ვერ აქვთ საქმე კარგად მანქანათსაშენებელი კომპლექსის მთელ რიგ საწარმოებს. პროდუქციის ვალდებულებით მიწოდების შარშანდელი გეგმის შესრულებას დარგის დიდმა სამრეწველო ობიექტმა — თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ დააკლო 10684 ათასი მანეთი, „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ 6108 ათასი მანეთი. საქმის ასეთ დაყენებულ სუბიექტურთან ერთად მრავალი ობიექტური ფაქტორიც განაპირობებს. მოსაგვარებელია ბევრი ორგანიზაციული, ეკონომიკური და ტექნიკური ხასიათის საკითხი, მათ შორის საქმე მაკომპლექტებელი ნაწილებისა და მზა პროდუქციის ფასების მოწესრიგებასაც ეხება.

რესპუბლიკის მანქანათსაშენებელი კომპლექსის აუვანა მსოფლიო პრაქტიკის უმაღლეს საფეხურზე დღეს უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. მის გადაწყვეტაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ყველა — უწინარესად მანქანათმშენებლობისა და მომჯავნე დარგების შრომითი კოლექტივები. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა მანქანათსაშენებელი კომპლექსის მოდერნიზაციის პროგრამა. ამ პროგრამიდან, მისთვის მინიჭებული სახელმწიფო პრიორიტეტებიდან, ყოველგვარი გადახვევა დაუშვებელია, ამოცანა ის არის, რომ არა სიტყვით, არამედ საქმით გადავაქციოთ მთლიანად რესპუბლიკა და განსაკუთრებით მანქანათმშენებლობა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის პოლიგონად, მნიშვნელოვნად ავამაღლოთ შრომის ფონდაღჭურვა და ენერგოშეიარაღება, განვსაზღვროთ პროგრესულ სახეობათა მანქანა-მოწყობილობის ხვედრითი წილი. ჩვენს რესპუბლიკაში დამზადებული ჩარხები, ელმავლები, ელექტრულ-გამომვლელი მანქანები, ძრავები და მიკროძრავები, ამწეები, ელექტროავტომატები, ხელსაწყოები, მანქანათმშენებლობის სხვა ათობით სახეობის ნაწარმი კონკურენციას უნდა უწევდეს მსოფლიო ანალოგიურ ნიმუშებს.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲓ

ᲑᲐᲜᲝᲕᲘᲓᲐ ბროშურა „გავზარდოთ გარდაქმნის ინტელექტუალური პოტენციალი“. იგი შეიცავს მეცნიერებისა და კულტურის მეცნიერებისა და კულტურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 1989 წლის 6 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში „მეცნიერული ფიქრი — ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ფაქტორი“ შეხვედრაზე სიტყვას, შეხვედრის სხვა მასალებს.

ბროშურა გამოუშვა პოლიტგამმა და დაბეჭდილია სტამბაში „კრასნი პროლეტარი“.

(საკდესი).

ᲞᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲝᲓᲔᲑᲐ



“ᲨᲐᲠᲨᲐᲜ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა დაგეგმილი 12 მილიონი ᲨᲐᲠᲐᲚᲘᲡ ნაცვლად... მოიგო 14 მილიონ მანეთზე მეტი!

ეს სიკეთე, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მოიტანა ერთ-ერთი კოქსვადი ბატარეის, № 1 ბრძმედის, ფურცელსაგლინავი დგანის დახურვამ და აგლომერატის წარმოების 50 პროცენტით შემცირებამ, წარმოებაში იაფი რკინით მდიდარი ხენჯისა და მაღალხარისხოვანი კოქსვადი ნახშირების გამოყენებამ. დაგროვილ სახსრებს კულტურაყოფაცხოვრებო და სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, ქარხნის რეკონსტრუქციას ახმარენ. დღეს საწარმოს აბანო-გასახდელები, სასადილო, სპორტული ბაზა, კულტურის სახახლე და სხვა ნაგებობანი ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში.

წარმატებით შრომობს მილსაგლინავი საამქროს კოლექტივი. კარგი მიღწევები აქვს მილების ცივად დამუშავების განყოფილებას, რომლის უფროსი ოსტატი გიორგი სალარიძე ‘ყოველდღიურ ნორმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს.

ᲮᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: გიორგი სალარიძე; მილსაგლინავ საამქროში.

ᲯᲐᲕᲐᲠ ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲡ („კომუნისტი“) ფოტო.

ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სულ უფრო მზარდი აქტიურობით აღინიშნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვანი ეტაპის უკანასკნელი დღეები. არჩევნების შესახებ ახალი კანონით მინიჭებულმა უფლებებმა უზრუნველყო თითოეულის რეალური მონაწილეობა დეპუტატთა ისეთი კორპუსის ფორმირებაში, რომელიც შეესაბამება დროის სულისკვეთებას, გარდაქმნის იდეებს.

სხვადასხვა თაობის ადამიანები, რომლებიც დღეს წარმოადგენენ საქართველოს დედაქალაქის მუშათა კლასს, თავიანთმა შრომითმა კოლექტივებმა დასახელეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად № 656 თბილისის 26 კომისრის სახელობის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში. ისინი გამოირჩევიან საქმისადმი, ადამიანებისადმი დამოკიდებულებით, რომლებსაც ისინი მიანნიათ გარდაქმნის მგზნებარე ქომაგებად, თავიანთ ინტერესების გამომხატველად ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. ასეთი პატივი წლად ხვდათ კომუნისტებს — საავიაციო საწარმოო გაერთიანების ზეინკალთა ბრიგადირს **ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲐᲯᲐᲯᲘᲡ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲩᲡ ᲫᲔ ᲙᲣᲑᲔᲚᲨᲕᲘᲚᲘᲡ**, კერამიკული კომბინატის მწყობსას **ᲡᲘᲛᲝᲜ ᲔᲒᲜᲐᲢᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲝᲜᲢᲠᲘᲫᲔᲡ** და კომკავშირელს, ზალსაქსოვი ფაბრიკის მუშას **ᲛᲖᲘᲐ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲩᲐᲩᲘᲣᲚᲘᲡ**, რომლებიც ერთმანეთს უნდა შეეცილონ ერთი დეპუტატის მანდატისათვის.

დეპუტატის კორპუსში ერთ ადგილზე სამი პრეტენდენტი დასახელეს № 663 ზესტაფონის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში. თბილისელ მეშუთაგან განსხვავებით ისინი ტოლები არიან, რომელთა ცხოვრება დაიწყო ომის მძიმე წლებში. დღეს ყოველი მათგანი აღიარებული ლიდერია თავის შრომითს კოლექტივში. ესენი არიან ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი **ᲝᲛᲐᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲛᲔᲛᲐᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ**, თერჯოლის რაიონის ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობის მექანიზატორი **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲚᲔᲕᲐᲜᲩᲘᲡ ᲫᲔ ᲮᲝᲩᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, მაიაკოვსკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი **ᲒᲐᲠᲩᲘᲕᲐᲜ ᲨᲐᲗᲘᲙᲝᲡ ᲫᲔ ᲙᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**.

უფრო გაფართოვდა კონკურენტთა სოციალური შემადგენლობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა შორის № 666 ფოთის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში. ფოთის № 10 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან **ᲒᲣᲚᲩᲘᲠᲩᲐ ᲐᲯᲐᲯᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲛᲐᲢᲙᲐᲕᲐᲡᲗᲐᲜ** ერთად ახლა აქ დასახელებული არიან ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინის აგროსამრეწველო კომბინატის მუშა **ᲚᲣᲡᲘᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚი ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲘᲐ** და ჩოხატაურის რაიონის სოფელ გორაბერეჟოულის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ᲝᲠᲛᲐ ᲐᲯᲐᲯᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲒᲣᲠᲘᲐ**.

ინდუსტრიული რუსთავის უდიდეს საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა თავიანთ სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად № 182 რუსთავის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დაასახელეს ქალაქის მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები. ასაკის მიუხედავად თითოეული მათგანი გამოირჩევა დახვეწილი პროფესიონალიზმით, დიდი საზოგადოებრივი მუშაობით. სწორედ მათმა აქტიურმა მოქალაქეობრივმა პოზიციამ განსაზღვრა კიდეც თანამოსაქმე ამხანაგების არჩევანი. დრო გვიჩვენებს, თუ სამთაგან რომელს — მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეს **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲐᲜᲓᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ელექტროლიზური მანგანუმის ორაანგის წარმოების ზეინკალს **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲮᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** თუ საწარმოო გაერთიანება „ქიმმოჭკოს“ № 1 კორდული გრეხის საამქროს მგრეხავს **ᲛᲐᲜᲐᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲛᲔᲓᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მიანიჭებენ უპირატესობას ამომრჩევლები.

დიდ და კეთილშობილურ მუშაობას ეწევა დღეს საქართველოს კულტურის ფონდი. მისმა დიდმა საქმიანობამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი შეიძინა, ამ მნიშვნელოვან საქმეში აბამს ახალ-ახალ აქტივისტებს. ფონდის მაღალი ავტორიტეტის აღიარება გახდა მისი თავმჯდომარის **ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲞᲐᲕᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲣᲐᲫᲘᲡ** დასახელება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად № 493 ბათუმის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში. ასეთი გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღეს ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის კოლექტივის კრებაზე.

ჯავის რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ორი მუშაკი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწყეტლავი **ᲐᲛᲘᲜᲐᲗ ᲮᲔᲠᲒᲘᲡ ᲐᲡᲣᲚი ᲗᲘᲑᲘᲚᲘᲡᲐ** და ქიროვის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ᲓᲘᲐᲜᲐ ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲘᲡ ᲐᲡᲣᲚი ᲮᲣᲒᲐᲕᲐ** შეეცილებიან ერთმანეთს დეპუტატის მანდატს № 738 ჯავის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში. № 190 წყალტუბოს ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქში კი ერთმანეთს შეეცილებიან ქალაქ ტყიბულის საბავშვო საავადმყოფოს მთავარი ექიმი **ᲐᲕᲗᲝᲜᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ** და წყალტუბოს საქალაქო პოლიკლინიკის პედიატრი **ᲜᲣᲜᲣ ᲞᲐᲠᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚი ᲚᲔᲥᲕᲗᲐᲫᲔ**.

(საქინფორმი).

„ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ სტატუსი მიიღო „სახალხო განათლებამ“ — ამიერიდან იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთია.

მისი გაერთიანებული მე-7-მე-8 ნომერი, რომელიც 25 იანვარს გამოვიდა, იწყება რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ახალგაზრდა პედაგოგების შეხვედრის რეპორტაჟით. დისკუსიის საგანი გახდა სკოლის გარდაქმნის საკრებიბოროტო პრობლემები. კერძოდ, გამოითქვა სხვადასხვაგვარი მოსაზრებანი იმ საკითხებზე, თუ როგორ შეფასდეს სკოლების კურსდამთავრებულთა მედალი, როგორც ჯილდო თუ კიდევ როგორც პრივილეგია, რომელიც გარკვეულ უპირატესობას იძლევა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს.

გაზეთის გაერთიანებული ნომერი მთელ რიგ სხვა საინტერესო პუბლიკაციებს შეიცავს. (საქინფორმი).

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜ�გᲔᲑᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲐᲗᲔᲜᲘ. აქ დამთავრებულ საბერძნეთის მთავრობის საგანგებო სხდომაზე, **რომელიც მიმდინარობდა პრემიერ-მინისტრის ა. პაპანდრეუს თავმჯდომარეობით, მიიღეს ტერორიზმთან ბრძოლის დამატებითი ღონისძიებანი.** სხდომა მოიწვიეს იმასთან დაკავშირებით, რომ ათენში ამ თვეში მოხდა სამი ტერორისტული თავდასხმა. ამ ბოროტმოქმედებათა შედეგად იუსტიციის ერთი მაღალი თანამდებობის მუშაკი მოკლეს, ორი სხვა კი დაჭრეს.

ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ

● **ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ.** ეთიოპიის **დედაქალაქში გაიმართა ეთიოპიის მუშათა პარტიის, მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ეკლესიისა და ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების მასობრივი მიტინგი ქვეყნის ჩრდილოეთის პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის მხარდასაჭერად, სეპარატისტთა მოქმედების წინააღმდეგ.** მისმა მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ერიტრეის დაბლობი ნაწილის მოსახლეობის მოთხოვნას მიანიჭონ მას ავტონომია, მიიჩნიეს იგი პოზიტიურ წვლილად რესპუბლიკის ჩრდილოეთის მშვიდობის საქმეში, რომლის დამყარებისათვის იბრძვის ეთიოპიელი ხალხი.

ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲦᲘᲐ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ?!

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲣᲕᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲨᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲡᲔ იყო და ასე იქნება: ერთი და იგივე ამინდი

საჭიროა არა სიტყვები...

ეჩრავლესოვა 80 ათასი სოფლის მოსწავლიდან, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო შიწისძვრის შედეგად დაზარალებულ რესპუბლიკის ქალაქებში, შუამთა დაბებსა და სოფლებში დარჩნენ, დღეს უკვე მერხებს მიუჯდა. მაგრამ ჯერ კიდევ უბედურების ზონაში მცხოვრებ ყველა ბავშვს არ განუსახლებია სწავლა. ასეთი ბავშვი რამდენიმე ათასია. ლონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ითვალისწინებს თებერვლის დამდეგისათვის სასწავლო წლის სავალდებულო გაგრძელებას სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისათვის, განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის მორიგ სამუშაო სხდომაზე, რომელსაც 24 იანვარს უძღვებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. პ. ბატალინი.

კომისიამ კვლავ განიხილა რკინიგზელთა მუშაობა. უახლოეს ორ წელიწადში მათ მკვეთრად უნდა გაადიდონ ტვირთზიდვის მოცულობა. მაგალითად, თუ წინათ რესპუბლიკას ყოველწლიურად შემოჰქონდა საშუალოდ 12,5 მილიონამდე ტონა ტვირთი, უკვე მიმდინარე წელს შემოტანა უნდა გაიზარდოს 25 მილიონ ტონამდე, ხოლო გაისად — 33 მილიონ ტონამდე.

სამწუხაროდ, გზათა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები უფრო მეტად პერსპექტიული გეგმების შედგენაზე მუშაობენ. ასეთი გეგმები, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ უკვე დიდი ხანია დადგა მათი დაკონკრეტების, შემსრულებლებისათვის გაცნობის დრო, რათა არ გაჭიანურდეს ჩანაფიქრის შესრულება. კონტროლი უნდა გაეწიოს რკინიგზის ტრანსპორტზე ოპერატიულ ვითარებასაც. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაკთა ჯგუფმა, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის ერეკნის განყოფილების მუშაობას ამოწმებდა, გამოავლინა მისი მუშაკების არაორგანიზებულობის, სამსახურებრივი მოვალეობებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები.

რით უნდა აიხსნას ისეთი მდგომარეობა, როცა ღამის ცვლაში ვაგონების განტვირთვა ახლა შარშანდელ დონეზე ექვსი პროცენტით ნაკლებია? ნელი ტემპით მატულობს ქვიშის, ღორღის, ტუფის შიდარესპუბლიკური გადაზიდვა, მაშინ როცა ახლა ეს მასალები ესოდენ საჭიროა უბედურების ზონაში მომუშავე შენებლებისათვის.

დასახული პროგრამების შესასრულებლად ახლა საჭიროა ყოველდღიურად განტვირთოს სულ ცოტა ორი ათასი ვაგონი. მაგრამ ხერხდება დღე-ღამეში მხოლოდ 1600-1700 ვაგონის განტვირთვა. მიზეზი ის არის, რომ სულ მთლად ზუსტად არ წარმოებს სადღეღამისო დავალების დაგეგმვა, იგი აშკარად შემცირებულია, ბოლომდე არ არის გააზრებული პრემიათა, სხვა წახალისებათა სისტემა.

კომისიამ მოითხოვა შეიცვალოს საგეგმო დავალებანი ახლანდელი მომენტის საჭიროებათა შესაბამისად.

სხდომაზე განიხილეს ჩრდილოეთ სომხეთის ქალაქებისა და სოფლების სიცოცხლის უზრუნველყოფის პროგრამის შესრულების მიმდინარეობა. საჭიროდ ცნეს უახლოეს ხანში მოსახლეობას მიაწოდონ კიდევ სულ ცოტა სამი ათასი თბილი სახლი.

შემუშავებულია ღონისძიებანი უბედურების რაიონებში უმუშევრად დარჩენილი ყველა მცხოვრების პირველ მარტამდე შრომითი მოწყობის უზრუნველსაყოფად.

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ლენინაკანში, კიროვაკანსა და სპიტაკში მასობრივი საბინაო განაშენიანებისათვის პირველი ნაკვეთების გამოყოფის შესახებ. ამასთანავე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად დაჩქარდეს საძიებო სამუშაოები, აგრეთვე სეისმური მიკროდარაიონების რუკების, დასახლებული პუნქტების გენერალური განაშენიანების გეგმების შედგენა. ლაპარაკის დრო დამთავრდა, დღეს საჭიროა არა სიტყვები, არამედ კონკრეტული საქმეები. (საკდესი).

რაც საქმით ფასდება

— **ის,** რაც უკანასკნელ ხანებში შევიძინეთ, ვიცდილობთ განვაზოგადოთ და ყოველდღიური საქმიანობის ნორმად ვაქციოთ, ეს არის ურთიერთმომკითხველობა და კრებებზე დაყენებული საკითხების, კომუნისტთა წინადადებებისა და შენიშვნების პრაქტიკული რეალიზაცია.

გორის რაიონის შავშვების საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. მელაძე დინჯად, საქმის ცოდნით გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ გარდაქმნიან მუშაობას მეურნეობის კომუნისტები XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მოთხოვნათა შესაბამისად, ამასთან პარტიული კომიტეტის მდივანი დასძენს, რომ ეს მუშაობა ყოველთვის უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობს, კოლექტივს ხშირად ეღობება გზად მოულოდნელი დაბრკოლებანი და დაძაბულ სიტუაციაში მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა უნდა გამონახოს ყველაზე ოპტიმალური გზა ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად.

უჩვეულო ვითარება შეიქმნა წარსულ ზაფხულს გორის რაიონის შავშვების საბჭოთა მეურნეობაში. კურკოვანი ხილის კრეფის სამუშაოები ვერა და ვერ „ჩაჯდა“ გრაფიკში. სიტუაციას ისიც ამძაფრებდა, რომ არანულაყრელმა ჭირვეულმა ამინდებმა — ხშირმა წვიმებმა და გაზაფხულის წყაღნვამ აქ, ისევე როგორც რაიონის ზოგიერთ სხვა ადგილებში, ფრიად გააუარესა ხილის მოსავლის მოსალოდნელი მაჩვენებლები.

საჭირო იყო გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება. პარტიულმა კომიტეტმა სასწრაფოდ მოიწვია კომუნისტების ღია კრება, რომელზეც პირუთვნელად იმსჯელეს ხილის კრეფაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, იმის გარდა, რომ სამართლიან მკაცრ პარტიულ სასჯელს ვერ გადაურჩნენ სამეურნეო თუ პარტიული ხელმძღვანელები, კრებაზე, კომუნისტებმა მდგომარეობის ოპერატიული გაუმჯობესების წინადადება წამოაყენეს და საამისოდ რეალური გზებიც დასახეს.

არც წინათ ჰკლებია საქმიანი წინადადებები და შენიშვნები აქაურ კომუნისტთა კრებებზე მიღებულ დადგენილებებს. ერთადერთი და მთავარი, რაც მათ აკლდათ — ეს იყო კრებაზე გამოთქმული თითოეული მოსაზრებისა და კრიტიკული შენიშვნის სამოქმედო პროგრამად ჩამოყალიბება და შესრულების შემოწმების მწყობრი სისტემა.

აი, რა თქვა ამის შესახებ მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტმა ვ. ფსუტურმა: „ჩვენი კრებების დადგენილებები ყოველთვის „სიმსუყით“ გამოირჩეოდა. დადგებოდით ტრიბუნაზე, ვაკრიტიკებდით მუქთახორებსა და უშრომელი შემოსავლის მოტრფიალეთ, კრების დადგენილებაში მრისხანე სიტყვებსაც ჩავწერდით, მაგრამ კრების შემდეგ აღარც მუქთახორები გვახსოვდა და აღარც მათ მიმართ გამიზნული სანქციები“.

— გადაუჭარბებლად შეიძლება თქვას, რომ ახლა ასე აღარ არის, — გვეუბნება მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. მელაძე, — ამ ბოლო ხანს ბევრი რამ შეიცვალა პარტორგანიზაციის ცხოვრებაში. ბევრად უფრო საგნობრივად ვაანალიზებთ მუშაობაში ხელმეშვლელ მიზეზებს, ვსახავთ მათი გაშოსნიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების ოქმის გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია კომუნისტთა გამოსვლებმა, რომლებიც სოფელში სასმელი წყლის გამოყვანის საკითხებს აყენებენ. ეს მეურნეობის დირექტორის ნ. ურჯუმელაშვილის განცხადებით: უკანასკნელ ხუთ-ექვს წელიწადში მეურნეობაში შემავალ სოფლებში ბევრი რამ გაკეთდა. ეს, რა თქმა უნდა, აღრნიშდელ. ხელმძღვანელთა დამსახურებაც არის; მაგრამ გასაკეთებელი, ცხადია, კიდევ საკმაოდ არის. მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-სოციალურ-სანიტარო-ცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას კვლავაც შეუნელებელ ყურადღებას ვუთმობთ. ნაწრეტელი კომუნისტების წინადადება ახალი არ იყო, აღრეც ზნირად დასმულა, თუმცა ხელისშემშლელ მიზეზებსაც ბოლო არ უჩანდა, ხან თანხა არ გვყოფნიდა, ხან — სამენი მასალები, ზოგჯერ ზემდგომი ორგანოების ნებართვა და ა. შ. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ ხელ-ფეხი გაგვიხსნა: შრომაც გაგვიადვილდა და სოფლის კეთილდღეობისთვის ზრუნვაც. სასწრაფოდ შევიძინეთ საჭირო ოდენობის მილები, საქმეში ჩავაბით ჩვენივე მუშახელი და ტექნიკა, სულ ახლახან სოფელში წყალიც მოვიდა...

მეურნეობის პარტიული კომიტეტი ყურადღებით მოეკიდა ხურვალეთის პარტორგანიზაციის კომუნისტთა კრიტიკულ შენიშვნებს იმის თაობაზე, რომ კარგად-ცუდ ამ სოფლების კლუბის მშენებლობის საკითხი არ გასცილებია საოქმო დოკუმენტებს, რაიონის ადმინისტრაციას ეს უახლეს ხანში ურნეობის მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში ჩადგება, როგორც კი ხურვალეთის კლუბის მშენებლობა დამთავრდება. ანალოგიური საკითხების დროულად მოგვარებისათვის კი ყველამ, განსაკუთრებით კომუნისტმა, არაფერი არ უნდა დაიშუროს...

საინტერესო დეტალი: მეურნეობაში ერთადერთ ბიბლიოთეკა და წითელი კუთხე, ინტერესთა შესაბამისად ახალგაზრდა კომუნისტთა შეხვედრების დარბაზი... ყველაფერი ეს უახლეს ხანს მეურნეობის მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში ჩადგება, როგორც კი ხურვალეთის კლუბის მშენებლობა დამთავრდება. ანალოგიური საკითხების

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡᲨᲘ

საკავშირო იუნკობა

25 იანვარი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ წინასაარჩევნო ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ მნიშვნელოვან ეტაპზე, დღეს მთავრდება დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და რეგისტრაცია. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲠᲘ ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲛᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲧᲝᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲛᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲐᲠᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲛᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ. ᲗᲣ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲤᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲓᲦᲒᲐᲛᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲛᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲐᲠᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲤᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲗᲣ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲛᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ. ᲗᲣ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲤᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲛᲔᲢᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲜ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲐᲠᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲤᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲗᲣ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲛᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲪᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲤᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲛᲔᲢᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲜ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲐᲠᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲤᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲗᲣ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲛᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲜ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲐᲠᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲤᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲛᲔᲢᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲜ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲐᲠᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲤᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲛᲔᲢᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲜ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲜ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲐᲠᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲤᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲛᲔᲢᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲜ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲐᲠᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲤᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ. ᲛᲔᲢᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲜ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐ

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲘᲜᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

მზანანი! მოდიოდით საგარეჯოში. წინა საღამოს ტელევიზიამ გვიჩვენა: მთლიანად წაღებული მაღალია, კოქებიანად სახურავახდილი სახლები, დაცემული, დალეწილი ხეები, ელექტრო და სატელეფონო ბოძები, მესერები — ხაშინელი ქარიშხლის შედეგი, რაიც დაატყდა საგარეჯოს რაიონს, მთელ გარეკახეთს.

მეტად მშვიდი, უწყინარი მზე იყო ამ შუა ზამთარში, მანქანაში დიდი, დრო გვქონდა ფიქრისათვის, ვუყურებდი მზეს — და უფრო ტკივილით ვფიქრობდი ამ მიდამოებზე საფიქრალს. პირველ ყოვლისა, სულ მესმოდა ერთი ძალიან ცნობილი ფრაზა: „თბილისიდან რომ აღმოსავლეთისაკენ წახვიდე, ერთი დღის მოგზაურობის შემდეგ მიადგები ერთს გრძელ მთასა, რომელსაც ჰქვია ცივი“... სჯირდება წიგნიერ ქართველს მითითება, საიდან არის ეს ფრაზა? მაინც ვთქვათ — იყოს გოგებაშვილის უმშვენიერესი მოთხრობიდან „იავნანამ რა ჰქმნა?“

ერთი დღის მოგზაურობის შემდეგო! ჩვენ დიდი-დიდი ერთი საათი დაგვჭირდეს იმ ცივის ძირამდე მისასვლელად.

..., ცივის მთაზე რომ ავიდე და იქით, აღმოსავლეთისაკენ გადაიხედო, — განაგრძობს იაკობ გოგებაშვილი, — შენს თვალწინ ქვეყნოო გადაიშიმება ფეებერვერალა ვაკე, რომელსაც მფარავს მთელი მწვანე ზღვა ვენახებისა და ზვრებისა...“ აღმოსავლეთისაკენ გადახედავს ვინ გვიშლის, მაგრამ ამჯერად ცივის აქეთა მხარე, ივრის გადასახედები ეწევიან ჩვენს გულებსა და თვალებს. ეს ადგილებია საგარეჯოს რაიონი. ამ ვილებსა და გორაკებს ჰქვია გარეკახეთი.

იგივე იაკობ გოგებაშვილი, ახე სამახსოვროდ რომ იწყებს თავის მშვენიერ მოთხრობას, ნაზრომში, რომელსაც „სამშობლოს შესწავლა“ ჰქვია, ასე ახასიათებს გარეკახეთს: „სამხრეთით გარეთ — კახეთს ყარაიის დიდი მინდორი უძევს. მტკვრის პირად აღებილია მაღალი და ხშირი ბალა, სადაც მრავალგვარი ნადირი ბუდობს: ჯიხვი, შველი, დათვი, მგელი, ირემი, კურდღელი, მელა და სხვა. ფრინველებში ხოხობიც ბევრი იცის. უწინ საქართველოს მეფეებს აქ ნადირობა ჩვეულებად ჰქონდათ; ახლაც დიდი კაცები სანადიროდ ამ ბალაშვილ მიდიან. რაც გარე-კახეთის ნაყოფიერებას შეეხება, ჭირნახულის მოსავლით შიგნით — კახეთს ბევრით სჯობია, რადგან ივრიდან გაპყავთ რუები და რწყავენ ნახნავ-ნათესსა... შესანიშნავი სოფლები არის: საგარეჯო, სადაც ორკლასიანი სასწავლებელი არსებობს, პატარძეული, უჯარმა, მარტყოფი და სხვა“.

ეს სტრიქონები თითქმის ასი წლის წინათ არის დაწერილი. გული რაღაცნაირი სითბოთი ევსება ამის წამკითხველ აქაურ კაცს, მაგრამ ზოგი ამას ვერ იკმარებს, გადაგიშლის კიდევ უფრო ძველ საამაყო დოკუმენტს. ეს არის ვახუშტი ბატონიშვილის წიგნი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „ზოლო მდინარის იორის კიდე იმერი და ამერი არის ფრიად ნაყოფიერი, ვინათგან აღმოვლენან რუნი, და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი და დასდევს იორს მცირე ბალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი. მრავალნი და უმეტეს ხოხობნი“...

ჩახვალთ, ჩაიკითხავთ ამ ტექსტს აქამდე და უცებ გულის შემკუმშველი: „გარნა იყო ალაზნის შესართავადმდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოხრდა გამოსლვასა ბერქასსა და შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელნი ჩანან დღესაც. შემდგომად დასხნეს ელნი ამათ ადგილთა აწინდელთა მეპატრონეთა“.

ელნი ერთი დღის სავალზეც ალარა თბილისიდან!

ვალალობდა, მაგრამ მაინც ბეჯითობდა მჩწას ჩაფრენილი ჩვენი ხალხი.

რა ცოტამ იცის თუნდაც ის ამბავი, რომ ერეკლე მეფემ ივრიდან არხი გამოაყვანინა სამგორის დიდ, ტრიალ მინდრებში, და მეფის ნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა 1849 წელს ობელისკი დაუდგა აქ ერეკლეს, მისი საქმიანობის მეხსოვრად შეფასების ნიშნად. ის მშვენივრად აშენებული ობელისკი დღესაც ღონივრად დგას. ზედ ეტყობა, მრავალმა რომ გამოსცადა თოფი მასზე, მრავალ ტყვიას ამოუტეხია და წაუღია თავისი წილი გრანიტი, მაგრამ გოჯისოდენადაც კი ვერ გადაუხრიათ გვერდზე.

ეს ობელისკი, ანუ „ქვაკაცა“, როგორც ეძახდა ადგილობრივი მოსახლეობა, ერთადერთი ორიენტირი იყო მთელს იმ მიდამოებში, მას აფარებდნენ სიცხეში თავს (სახელდობრ — თავს) ქალაქის უწყალო გზით გაწამებული მგზავრები. დღეს იგი გზის პირის ხეებში დგას.

დადგა ახალი დრო, დრო დიდი ენთუზიაზმებისა, იმედებისა, მიზნრაფებებისა. ზოგჯერ იმსხვრეოდა ეს იმედები, იმსხვრეოდა კეტებიც, თანაც ვიღაცათა თავებზე. გაჰკონდათ სულ ახლებური კვლები ბიზაზე. სოფლებიდან ღამით უტეტ გაპაუვდათ რამდენიმე მამაკაცი ერთად. იმართებოდა ხმაურიანი კრებები, მიტინგები. იცინოდნენ, მასხრად იგდებდნენ გამუდმებით უკან მომზორალ სამდედელოებას, ცდილობდნენ საკუთარი მკლავების ძალა აღემატებინათ ჯვრების ძალებისათვის. ანგრევდნენ ეკლესიებს. ოციან წლებში, ზედ გიორგობა დღის ზეიმისას, რამდენიმე „ყოჩაღმა ბიბმა“ დინამიტით აფეთქა ბოკორმის უბრწყინვალესი ტაძარი. არიან თვითმხილველნი. მთელმა ყელმა და გუმბათმა აიწიაო მაღლა და მერე ჩაიქცაო ტაძარში. შეშფოთებულნი იყურებოდნენ დღის ჩახჩახა შუაზე უმშვენიერესი ფრესკები, გამორჩეული ხელშუბიანი წმინდა გიორგი: ეს ის გიორგი, ქეშით რომ იტყოდნენ კარგ ვაჟკაცზე ამ მხარეში, — ბოკორმის წმინდა გიორგის გავსო.

ხალხს დიდი ნაწილი მაინც ებღაუჭებოდა ძველ გზებს. აი, მიდიან მინდვრებში, იქ არიან მთელ კვირას, მუშაობენ, მუშაობენ. შედეგი? ხშირად კლო პურის განაწილების ნატრულნი არიან შრომადღეზე.

მერე დაიწყო ომი. საგარეჯოს რაიონში 4.000 კაცი ვეღარ დაბრუნდა ომიდან. ომს მოჰყვა რაიონისათვის კვლავაც უღიმღამო წლები. როცა ფრთებს შლიდნენ, რესპუბლიკას შუქურებად დახჩახხახებდნენ რიგი რაიონებისა, საგარეჯო სადღაც ბოლოში ბუტაჟდა ყოველთვის. თავზარდამცემია ერთი ციფრობრივი მონაცემი. 1971 წელს წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ მიიღო 4.892.978 მანეთის შემოსავალი, საგარეჯოს რაიონის მთელმა — საკოლმეურნეო სექტორმა კი — 1.994.000 მანეთი.

მერე... ეს უცებ არ მოსულა, მაგრამ მაინც ასე ჩანს: უკანასკნელ წლებში საგარეჯოს რაიონული შემოსავალი, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში აკარბებს 140 მილიონ მანეთს. რესპუბლიკის რაიონებს შორის საგარეჯოც ღონივრად დგას. მისი საამაყო თვალსაჩინოებებია: სამარკო და საექსპორტო ღვინოების ქარხანა, ამუამად უკვე სამრეწველო სავაჭრო ფირმა „სამება“, ბალნეოლოგიური კურორტი უჯარმა, პოლიტექნიკური ტექნიკუმი, პროფტექნიკური სასწავლებელი, ოთხკორპუსიანი რაიონული საავადმყოფო, მშვენიერი კულტსახლი, 20 საშუალო სკოლა, რვა არასრული საშუალო. აქედან 3 საშუალო სკოლა და ერთიც არასრული საშუალო აზერბაიჯანულია. თითოეული ეს საშუალო სკოლა 1000-1500 მოსწავლეს ითვლის.

70-იან წლებში მოვიდნენ სამშობლოს სიყვარულით უკვე სხვანაირად გულანთებული ადამიანები. დაიწყეს ნათლად, ნათელი მიზანდასახულებით, გონივრული გარჯით. წამოვიდნენ და წამოვიდნენ წინ. მარტო ის რად ღირს, ამ წლებისათვის უკვე ფაქტობრივად ჩვენთვის დაკარგული დავით გარეჯა, ანუ უდაბნოს ნამონასტრალები რომ დაგვიბრუნეს. ზემოთ მოვიტანე იაკობ გოგებაშვილისეული დახასიათება გარეკახეთისა. იქვეა, იმ წერილში: „არც ერთ მონასტერს საქართველოსას არ ჰყავდა იმოდენა რაცხვი ბერთა, რამდენიც გარეჯისას. აქაური ბერები ბერობა მარხულობასა და ლოცვაში არ ატარებდნენ დროსა. იგინი ღრმად სწავლობდნენ საღმრთო წერილსა, სთარგმნიდნენ სხვა ენებიდგან ქართულად მრავალს თხუზულებას, აგზავნიდნენ ყოველ კუთხიდგან წიგნებსა და ჰქონდათ მდიდარი წიგნთ-საცავი, რომლითაც სარგებლობდნენ გარეშე ქართველებიც. ამ მონასტერშიცა არსებობდა სკოლა ყრმათათვის“.

ეს ფაქტიც რამდენს გვეუბნება: აქ, უდაბნოში, ნათლისმცემლის მონასტერში, 1698 წელს ბერად დეეუფდა სულხან ორბელიანი, აქ უკვე ხანად წოდებული ამ ხრიოკებში დადიოდა იგი — მაღალი, კეთილადაღნაგი, თვალებსევდიანი. ამ კლდეებიდან გადაპყურებდა ქვეყანას. აქ დაიწერა მისი ცნობილი „სწავლანი“ და „ხამოთხის კარი“, აქ ალავლენდა მოთქმას ლოცვასავით:“ „აჰა, განვლო დღემან და ღამემან! აჰა, წარხდა მზგეფსი ერთი, თვე და წელიწადი, აჰა, მოიწია სიკვდილი!“

იგივე კლდეები დგანან კლდეებად. ჩაყუჩებულან ლოდები თითქოსდა სხვა პლანეტისანი... ნამდვილი ზღაპრული ! ამბავიც ბრუნავს აქ: დავითს და ლუკიანეს, აქაურ პირველ ბერებს, ვეშაპი დახვედრიათ ვეება. „სლვახა მას ვეშაპისახა ლოდნი იგი მის ადგილისანი ირყეოდეს... მას ეცა მენი და დაიწვა იგი სრულიად“. მაგრამ ამაზე საშიში და შემაშფოთებელი იყო სხვა: ტოკავდნენ ეს ლოდები ათასგზის უფრო ძლიერ, ხტოდნენ, სკდებოდნენ კლდენი, ინგრეოდა ნამონასტრალის კედლები, ცვიოდა ბათქაში, ნადგურდებოდა ფრესკული მხატვრობის უნიკუმები, მსოფლიო შედევრები... აქვე არსებული ხამხედრო პოლიგონის, მისი სუნთქვის გამო.

70-იან წლებში მოსულმა ახალმა ხელმძღვანელობამ დაიწყო ბრძოლა, უმძიმესი ბრძოლა ხამხედრო პოლიგონის უდაბნოს წმინდა ადგილებიდან სხვაგან გადასატანად. ბევრს უნახავს, ბევრია მოწმე მედეა მეზვრიშვილის ბრისხანებისა და ცხარე ცრემლებისაც ამ ბრძოლაში. დიდი ხნის მანძილზე, მიზანმიმართულად იბრძოდა ახალგაზრდობა ამ წმიდათაწმიდა მიზნის მისაღწევად. დაბოლოს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის დიდი გარჯითა და მეცადინეობით მოხდა თითქოს შეუძლებელი...

უდაბნოში შეიძლეს ვეება სარწყავი წყლის ამოყვანა მტკვრიდან. ო, ეს იყო ნამდვილი ბედნიერი დღე. დიდსა და პატარას სახარულის ცრემლები სდიოდათ ამ დგრიალა წყლის მაყურებელთ. დიდი და პატარა ულოცავდა მარჯვენას ამ საქმის გამკეთებლებს. უდაბნო სწრაფად ოქცა თანამედროვე სოფლად, დაბადაც, ყოველივეთი, რაიც დამახასიათებელია თანამედროვე დაბისათვის. პირველმა უდაბნომ მიიღო მრავალი ოჯახი დიდი ზამთრისგან დევნილი სვანეთისა. დღეს ისინი აქა მკვიდრობენ მტკიცედ.

* * *

ფიქრებმა გამოტაცეს ნამეტანი...

უკვე ამოგვითავებია კი ვაზიანის ყელი.

მშვიდად, აუღელვებ-ლად დგას წვერებშეთეთრებული იალნო, იქით — ცივიც. მძაფრი ქარიშხლისა ცოტა რამ ეტყობა სართიბალასაც. პატარძეულიდან დაიწყო ღობეების მიყრილი ქაღალდები, ცელოფანები. სად იყო, სად ეყარა ამდენი, თანაც ასეთ ადგილას, ომში დალუპულთა მემორიალთან! სამაგალად იყო გამოვსებული ძეძვები და ტყიფუული ღობეები. კიდევ კარგი — ვიღაც სამი კაცი გასულიყო ახალჩაყრილ ვენახში, მლოცველებივით იდგნენ.

ერთხელაც ვიხსენებ ტელევიზიით ნაჩვენებ ბეტონის საძირკვლიდან სრულიად აღგვი მაღაზიას, სახურავმოხდილ სახლებს, დაცემულ, დალეწილ ხეებს, ბოძებს, მესერებს. სადაა ეს?

ნინოწმინდაშიც აქა-იქ თუა აყრილი კრამიტები და შიფერები. ასევე — საგარეჯოს გამოღმა უბანში. აქ უმეტესობას თეთრი თუნუქით ოდესღაც შეკრული სახურავები აქვთ სახლებზე. ამ სახურავებში თითს ვერ გაატარებ ვერსად, რა უნდა ექნა ქარს!

მაგრამ ცუდი დუმილი დაგვხვდა რაიკომში. პირველი მდივანი უკვე უდაბნოში იყო, სხვებიც სხვადასხვა მხარეს იყვნენ წასულნი. სრულიად შემთხვევით აქ შემობრუნებულ მდივანს ზაირა ივანიაშვილს ვხვდებით, „ის იწყებს ჩვენს პატრონობას. მას ეხვევიან სხვები. წუთიც არაა და... რეკავენ თბილისიდან, ისევ თბილისიდან, გაფაციცებული გადასცემს ციფრებს, ციფრებს.

მე დრო მაქვს, გამოველაპარაკო მისაღებში მდგარნი. მიყვებიან, რა მოხდა 4-5 იანვრის ღამეს, ცდილობენ შემაგრძნობინონ ზუსტად:

— განა ქარი სხვა დროს არა ყოფილა, კაცო! — თითქოს მეფერებოდეს, ისე იხრება მაღალი, ხმელი, შავი კაცი, — ქარიცა ყოფილა და სეტყვაც, მაგრამ იმ ქარებს ქარის ხასიათი ჰქონდათ. ამოისუნთქებდნენ და მერე ჩაისუნთქებდნენ. იმ ჩასუნთქვის დროს შეგეძლო ან თვალები გაგეხილა, ან ნაბიჯები გადაგეგო ნორმალური. ესა? შავი იყო, რაღაცა შავადგაჯაგრული, ფინთი. თორმეტიდან სულ ცოტა იყო გადაცილებული, გავბედე, გამოვიხედე, გამოვედი. როგორ არ გაბმედავ, კაცო! ჭრიჭინებდა და კვნესოდა მთელი სახლი. მეცა, დამატრიალა, ტრიალებს დიდი შავი რაღაცა და სახეზე — როგორც ჯაგრითა გცემონ, თანა ტყვიამფრქვევითა. ძლივს, ბოძდვით შებრუნული უკან. გულგახეთქილები შემომყურებდნენ ჩვენები.

— თეთრი შუქი? — აღარ აცდის თუშურქუდიანი, — რაღაცა თეთრი შუქიც დადიოდა აესე, აცაბაცა, ბრმასავითა, ის იყო საშინელება, ის რასაც დაადგებოდა, წასული იყო იმის საქმე. რა კაკალი მომიგლიჯა, კაცო, რა მსხლები!..

— თქვენა ჩუმათა, — გაშლილი ხელით აჩერებს ლოყებთან კანაქერცლილი ბაღარა, — თქვენ გადარჩენილები ხართ და ჩუმათა. ტერტერაშვილებმა რაღა უნდა ქნან, სუ მოხსნა, გეგონება წერაქვებით მოუნგრევიათ ის იმოდენა სახურავიო, წაღებულია აიქ, აი...

ისევ ქალბატონ ზაირას კაბინეტი. მოდის და ჯდება გიორგიწმინდის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების კომბინატის დირექტორი. ამათ უკვე დაახლოებით მაინც უანგარიშიათ ზარალი — 224 ათასი მანეთი. ჩალეწილი ყოფილა მათთან მინების უმეტესი, ახლილი შიფერი. უცებ გაუცივდათ და დაეღუპათ 800 პატარა გოჭი. არანაკლებად უნდა იყოს დაზარალებული საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკა. მარტო საზოგადოებრივ მეურნეობებში 400-ზე მეტმა ობიექტმა განიცადა ნგრევა. გადახდილია 200-ზე მეტი სახლი. ჯერ კიდევ რამდენია ასაწერი. ყველაზე მეტად დაზარალდა მანავი, თოხლიაური...

ქალბატონი ზაირა მაცნობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილს, რომლითაც თხოულობენ, თანაც სასწრაფოდ: შიფერი — 350 ათასი ცალი, მინა — 30-35 ათასი კვ. მ. თუნუქი — 100 ტონა, ხის მასალა — 1500 კუბ. მ. რბილი სახურავი (ტოლი) — 100 ათასი კვ. მ. ცემენტი — 150 ტონა, გუდრონი — 60-70 ტონა, ლურსმანი — 20 ტონა. აქვეა ვრცელი დანართი ელექტრო გადაცემების აღსადგენად — საყრდენები, საძირეები, ტრავერსები, კაკვები, იზოლატორები და სხვა.

ქალბატონ ზაირას საშუალება ეძლევა, სულ ცოტა ხნით მაინც გამოგვყვეს ჩვენ, დაგვათვალიერებინოს მეტად დაზარალებული ადგილები.

რაიონული საავადმყოფოს 4 კორპუსი — თუნუქი და შიფერი ალარ არის შერჩენილი სახურავებზე, ჩალეწილია უამრავი მინა, მინებს გაჩჭარებული ხვამენ. ასეთსავე დღეშია პოლიტექნიკური ტექნიკუმი, მისი საერთო საცხოვრებელი, სამარკო და საექსპორტო ღვინოების ქარხანა, მე-4 საშუალო სკოლა, მილეწილ-მოლეწილია ფარდულები, ელექტრო ბოძები, მესერები, საცხოვრებელი სახლების ბევრი სახურავი, ჩაჩეხილია ხეები...

ქალბატონ ზაირას მიეჩქარება სხვაგან, მნიშვნელოვანი თათბირია დანიშნული 5 საათისათვის. მხვდებიან თანასოფლელებიც, ხაშმელები. მე გულმშვიდად ვიყავი, ხაშმი გადარჩა. ასე კი არ ყოფილა. აქ ჩამოსულთა სახლებისათვისაც აუგლეჯია ქარიშხალს სახურავები, აქაური გაზეთი გვაცნობებდა — უჯარმის სახლების 90 პროცენტიც დაზარალდაო...

მივდივართ ხაშმში და უჯარმაში. ხაშმის გზებზევეა დალეწილი ხეები, აყრილ-დაყრილებია სახლების სახურავები, გადაგნგრეულია კედლებიც. უჯარმაშიც ასევე, თითქმის არა ჩანს ნერშეუცვლელი სახლი, მაგრამ ისეთი მძიმე სანახაობანი მაინც არ არის, როგორც საგარეჯოში, მანავში, თოხლიაურში.

ეს იყო 7 იანვარს. მეორე დღეს, კვირას, ხაქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი ჩავიდა და საგარეჯოში. მას ახლდნენ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე, აგრეთვე რაიონის აღდგენით სამუშაოებში მონაწილე სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები. ეს შეხვედრებიც გვაჩვენა ჩვენმა ტელევიზიამ. ყოველ კადრში იგრძნობოდა დამამშვიდებელი სიკეთე და ძალა, ძალა დიდი, სახელმწიფოებრივი. იმედიანი თვალებით უყურებდნენ ჩამოსულებს საგარეჯოელები, მანაველები, უდაბნოელები...

მხოლოდ 13 იანვარს მომიხდა კიდევ ერთხელ ჩამოსვლა აქ. ამჯერად უფრო დამშვიდებული დაგხვდა ყველაფერი. გვმასპინძლობდა რაიკომის მეორე მდივანი ძაგული მათიაშვილი. ახლა უფრო ზუსტად იცოდნენ ბევრი რამ. რაიონში დაზარალებულია, გადახვეტილია 6.208 ბეჭარი თავთავიანი კულტურები, აქედან — მარტო უდაბნოში 760 ბეჭარი. დაზარალებულია 230 მეცხოველეობის ფერმა, 56 საწყობი, 141 სხვადასხვა სათავსო. ქარიშხალს მთლიანად ან ნაწილობრივ გადაუხდია სახურავები 265 საცხოვრებელი სახლისათვის. განადგურებულია, ფესვებიანად დაგლეჯილი და დალეწილი მანავისა და თოხლიაურის ტყე. სულ რაიონის ზარალი 4 მილიონ მანეთამდე აღწევს.

ვინ გვეხმარებიან? სულ მთავართ არ უნდა კითხვა-დასახლება. შემდეგ მოდიან: ჩვენი რესპუბლიკის მომარაგება-გასაღების სამმართველო, საქენერგო, აგროსამრეწველო კომიტეტი, კავშირგაბმულობის სამინისტრო. ყველა ობიექტზე მიმაგრებულია საშეფო ორგანიზაციები.

და ერთი სასიამოვნო ცნობაც. საგარეჯოს რაიონსა და სომხეთის შამშალინის რაიონს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. ჩამოვიდა პარტიის შამშადინის რაიკომის მეორე მდივანი, რამდენიმე პასუხისმგებელ პირთან ერთად, გაიზიარეს ჩვენი საწუხარი და დაგვითქვეს, უახლოეს დღეებში მთელ ვაგონ შიფერს მივიღებთ დახმარების სახით. იყვნენ, აგრეთვე, სომხეთის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მომარაგების ბაზიდან — მათი პირობაა, გამოგვიგზავნიან ცემენტს, ხე-ტყეს, შიფერს. ჩვენმა რაიონმა დიდი მადლობა გადაუხადა სომეს მეგობრებს. გაგზავნილია დეპეშები თხოვნით, მათი დახმარება, საკმარისია, გამოიხატოს მხოლოდ კეთილი სიტყვებით, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ სომები მეგობრები ბოლომდე ამ დაგვეთანხმებიან ამაზე.

საგარეჯომ სომხეთში მომხდარი საშინელი მიწისძვრის პირველსავე დღეებში დასახმარებლად გაგზავნა 157 კაცი და 46 სხვადასხვანაირი ავტოტრანსპორტი.

ახლაც მივდივართ, ახლაც ვათვალიერებთ დაზარალებულ ობიექტებს. მალე მორჩებიან რაიონული საავადმყოფოს და ღვინის ქარხნის გადახურვას. სააღმშენებლო მასალები მოდის.

გაჩჩარებული მუშაობენ მანაველი ტერტერაშვილების მთლიანად, კოქებიანად სახურავგადაგლეჯილ დიდ სახლზე. ამ სახლის სახურავის ნაფლეთები ყრია შორს, ხვნის ვენახში, განადგურებულია ის ვენახიც. ხუთი სული, ოთხი მამაკაცი და ერთი ქალი, დგას თოხლიაურელ ბეჭედების ეზოში. მათ დიდ სახლსაც მთლიანად მოაგლიჯა სახურავი და აივანი ქარმა. თვალებს არ უჯერებ, როგორ დაიგრიხა, დაილეწა ამსისხო მილები. უმუშავიათ ამათაც, შეუკრავთ ქარგილები მაღლა, ახლა ფიცრის მოლოდინში დგანან.

დაგვიძღვენა მანავისა და თოხლიაურის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, გვაკეთებს გულს, უკვე მიუღია 2.000 შიფერი, 15 ტონა შავი თუნუქი, განაწილებულია ეს ყოველივე, მაგრამ ორი ათასი შიფერი რაა...

ნაკლებ საიმედო ჩანს ჩვენი დღევანდელი საქმიანობაც. მივდივართ, ვათვალიერებთ. მაგრამ მეტი რა შეგვიძლია. უნდა დავლოცოთ და გამოვბრუნდეთ უკან, ეს კი ძნელი ყოფილა ასეთ ადგილას, ძალიან ძნელი. გამობრუნებული, ბეჭებში ნემსებივით ვგრძნობ ადგილზე დარჩენილთა მზერას.

ცა მოწმენდილია, მაგრამ ცივიდან მაინც თოვლის ფიფქები მოაქვს ნიავს. ამ თოვლის ფიფქებს შიშით შევყურებთ ყველანი. მარტო დაზარალებულნი კი არა, ჩვენც. ვეკვლრებით ცასა და ბუნებას, ნუ გაგვწირავს, საცა აქამდე დაგვაცადა, ცოტაც დაგვაცადოს, ნუ ჩამოჰყრის თოვლს, მიაკოწიწ-მოაკოწიწოს ამ ხალხმა თავშესაფრები; ხალხმა — ბევრის მნახველმა, ბევრის გადამტანმა, ბევრის გამდებმა ქვეყნისათვის.

ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ

67 წლისა გარდაიცვალა 1943 წლიდან სკკპ წევრი ანატოლი ალექსეის ძე კიკნაძე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი. [illegible] „ვეჩერნი ტბილისი“ [illegible] ფელეტონთა [illegible] ეროვნული [illegible] ლი დრომის, I და II [illegible] სამამულო ომის ორდენებით.

მძიმე ავადმყოფობა მოულოდნელად დაატყდა ანატოლი კიკნაძეს, მაგრამ ვერ სძლია მისი [illegible] ბისყოფა, პროფესიის სიყვარული — სიცოცხლის ბოლომდე [illegible] ბრძოლის წინა ხაზზე.

წავიდა ჩვენგან ღირსეული [illegible] ქალაქე, ნიჭიერი ჟურნალისტი [illegible] კომუნისტი ანატოლი კიკნაძე. [illegible] სი ხათელი ხსოვნა დიდხანს [illegible] ჩება საქართველოს ჟურნალისტ[illegible] და მეგობართა შორის.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1939 წლიდან, შრომის ვეტერანი, საგამომცემლო საქმის ამაგდარი, გამომცემლობა „განათლების“ ყოფილი მთავარი რედაქტორს, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, პერსონალური პენსიონერი გრიგოლ მიხეილის ძე **ხურცილავა.**

დაიბადა 1911 წელს. სამუალო განათლება მიიღო მარტვილში, უმაღლესი — თბილისში, სადაც დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი. შრომითი საქმიანობა ჯაბუკობიდანვე დაიწყო. სხვადასხვა დროს მუშობდა პედაგოგად, ეურონალისტად, („კომუნისტი“, „კოლექტივიზაცია“, „პროლეტარული სტუდენტობა“), რედაქტორობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქლუხორის რაიონულ გაზეთებს. არჩეული იყო პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ქლუხორის რაიკომის მეორე მდივნად, თბილისის კალინინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მდივნად, ეროვნული საბჭოს „დებატების“ [illegible] ბრძოლად და ნაყოფიერად [illegible] ხურებოდა ქართული წიგნის, [illegible] შორის სახელმძღვანელოების [illegible] მოცემას. 1953 წლიდან იყო [illegible] სახკომის რედაქტორი, ხოლ[illegible] 1958-1986 წლებში — გამომცემლობა „განათლების“ მთავარი [illegible] დაქტორი. უმწიკლო მუშაობისა [illegible] თვის დაჯილდოებული იყო [illegible] ლებით, საქართველოს სსრ უმ[illegible] ლესი საბჭოს პრეზიდიუმის [illegible] პატიო სიგელით, სამკერდე ნ[illegible] ნებით „სახალხო განათლ[illegible] წარჩინებული“, „ბეჭდვითი [illegible] ყვის წარჩინებული“.

კეთილსინდისიერი, უანგარ[illegible] გულმართალი, თავმდაბალი [illegible] კისა და მოქალაქის გრიგოლ ხ[illegible] რცილავს ხსოვნა დიდხანს დ[illegible] ჩება ამხანაგების, მეგობრებისა [illegible] თანამშრომლების გულში.

საქართველოს სსრ გამსაჯარ[illegible] გამომცემლობა „განათლება“.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ

თოვა, გრიგალისებური ქარი, ზავსაშიშროება — ეს სიტყვები ამ ზამთარს უკვე ჩვეული გახდა ჩვენს ლექსიკონში. ბუნების ძალები თითქოს ცდიან ადამიანის ნებისყოფას, სიმტკიცეს.

როგორი ამინდია მოსალოდნელი საქართველოს ტერიტორიაზე კვირის დამლევამდე?

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს უთხრეს რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიურ ცენტრში, არსებითი ცვლილებები უახლოეს ორ-სამ დღეში არ მოხდება. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მთებში კვლავ ითოვებს, რომელსაც ზოგჯერ შეცვლის წვიმები. მაღალმთიან რაიონებში კვლავ ზავსაშიშროება. უკეთესი ამინდი არ იქნება არც აღმოსავლეთ საქართველოში. საშუალო ტემპერატურა [illegible] რყეობს პლუს 2-5, მინუს 2[illegible] გრადუსის ფარგლებში.

მდინარე მტკვრის [illegible] კვლავ ქარი ბობოქრობს. მარ[illegible] ლია, გრიგალის ძალა არ ა[illegible] მაგრამ მისი სიჩქარე წ[illegible] 20-25 მეტრს აღწევს. თბილ[illegible] ქარი მოსალოდნელია კ[illegible] ორი დღის განმავლობაში. მრავ[illegible] ლსართულიანი შენობები მის [illegible] ლას წამში 15 მეტრამდე ამცა[illegible] ბენ.

კვირის დამლევისათვის [illegible] დი შეიცვლება. შეწყდება [illegible] და თოვა, მოსალოდნელია გა[illegible] დარება.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲯᲐᲓᲠᲐᲯᲘ. კვებეკში (კანადა) გაიმართა მსოფლიო პირველობის მეოთხეფინალური მატჩის მესამე პარტია არტურ იუსუპოვსა და კევინ სპრაგეტს შორის. 42-ე სვლაზე გაიმარჯვა საბჭოთა დიდოსტატმა, რომელიც თეთრი ფიგურებით თამაშობდა. ანგარიში გათანაბრდა — 1,5:1,5.

სად და როდის დაიწყება დანარჩენი მატჩები? საბოლოოდ დაზუსტდა, რომ ანატოლი კარპოვისა და იოჰან ჰიარტარსონის (ისლანდია) შეხვედრა 27 იანვარს გაიხსნება აშშ-ს ქალაქ სიეტლში, პირველი პარტია კი მეორე დღეს შედგება. რაც შეეხება ჰოლანდიელ იან ტიმანსა და ენგრელ ლაიოშ პორტიშს, ისინი ჭადრაკის დაფას 31 იანვარს მიუსხდებიან. ამ მატჩს ამსტერდამი (ჰოლანდია) უმასპინძლებს.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲗᲘ. ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში გრძელდება ვეტერანთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთის „მეფის“ — პელეს პრიზზე. მორიგ ტურში იტალიელმა ფეხბურთელებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ურუგვაელებთან — 3:3.

კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები თელ-ავივში შეხვდნენ ისრაელის ნაკრებს და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 4:0 (1:0).

მოსკოვის „სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელი, არჩევის წესით, გახდა 35 წლის ოლეგ რომანცევი, რომელიც ადრე ამ გუნდის კაპიტანი იყო. რომანცევი მწვრთნელად 1983 წლიდან მუშაობს, ჯერ ხელმძღვანელობდა „კრასნაია პრესნიას“, შემდეგ — ორჯონიკიძის „სპარტაკს“. მოსკოველთა მწვრთნელად რომანცევის კანდიდატურას მხარი დაუჭირა ამ არჩევნებზე მოსულმა ოცდაორმეტ ფეხბურთელმა.

ᲞᲘᲠᲘᲐᲛᲑᲐ. მინსკში გამართულ „ლასიკოსთა“ საკავშირო ჩემპიონატში, როგორც უკვე გაცნობეთ ქვემძმიერ წონაში ოქროს მედალი მოიპოვა გურამ გედეხაურმა. ტურნირის ბოლო დღეს გამოვლინდა კიდევ ხუთი ჩემპიონი; 52 კგ — ანდრია კალინინკოვი (კიევი), 62 კგ — გენადი ატამაკინი (სარანსკი), 74 კგ — დაულეტ ტურლიხანოვი (ალმა-ათა), 90 კგ — პავლე პოტაპოვი (ულიანოვსკი), 130 კგ — ალექსანდრე კარელინი (ნოვოსიბირსკი).

ხვალ თბილისში იწყება თავ[illegible] სუფთალი სტილის მოჭიდავეთა [illegible] ერთაშორისო ტურნირი. ამ შეკ[illegible] ბრების წინ ტრადიციულად [illegible] რება საბჭოთა ქვეშრირისა [illegible] აშშ-ს გუნდების სამატჩო შეხვ[illegible] რები. იაკუტსკში გამართული პ[illegible] რველი პაექრობა საბჭოთა ფალ[illegible] ვნებმა მოიგეს — 6:4. ეს გ